საქართველოს კანონი

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონს (პარლამენტის უწყებანი, №41, 8.10.1997, გვ. 16) დაემატოს შემდეგი შინაარსის 46^7 მუხლი:

„მუხლი 46^7. მორიგი სამხედრო წოდების მინიჭების დროებითი წესი

თავდაცვის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეს 2014 წლის 1 სექტემბრამდე შეიძლება მიენიჭოს მორიგი სამხედრო წოდება, მათ შორის, ვადამდე, თუ იგი დააკმაყოფილებს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ სპეციალურად დაწესებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

14 მაისი 2014 წ.

N2428-IIს